



ჰაფეზის ვარდი პრუდონის ვაზაში: ლოცმანის წიგნაკი ზურა ჭიშკარიანი

სარჩევი:

01. შესავალი: 'In navigiorum summitatibus visuntur' 1

02. ფოთის პორტი 3

03. ქუთაისის პორტი 5

04. თბილისის პორტი 7

მიძღვნა

(1621 წლის ნაშრომში „მელანქოლიის ანატომია“ რობერტ ბარტონი ახსენებს უცნაურ ცეცხლებს, „რომლებიც ხომალდების თავზე ჩანს და რომლებსაც ძველები კასტორსა და პოლიდეკეს უწოდებდნენ“. კასტორი და პოლიდეკე ცნობილი არიან, როგორც ძმები დიოსკურები, რომელთა პატივსაცემადაც აშენდა დიოსკურია, ახლანდელი სოხუმი. ეს მიძღვნა ღმერთებსა და მუზას):

„ღვთაებათა მხსნელო, მიცვალებულთა ძვირფასო საჩუქარო; შენ გაიმბე, რაიც დავინახე ადრე, ახლა კი ჩემი სიმღერიდან იმასაც შეიტყო, რასაც უნინ ვმაღავდი;
რადგან ნათქვამია: რათა მომავალმა ადამიანებმაც შეიტყონ“

01. შესავალი: 'In navigiorum summitatibus visuntur'

შეგრძნება მაქვს, რომ ბავშვობიდანვე ვიფანტებოდი, მფანტავდნენ, ვფანტავდი თავს, ატომებს, ფიქრებს, სიტბოს... და სადაც კი გამივლია - იქნებოდა ეს დევნილებით დასახლებული საბავშვო ბაღის მინდორი, რომელიც სავსე იყო ქიმიური ნივთიერებებით, რომლებიც დაიღვარა, როცა კაცებს მიჰქონდათ ტრანსფორმატორები ჯართში ჩასაბარებლად, თუ ღამე, ნაწვიმარით სავსე მცირე გუბეებზე გატეხილ ასფალტში, თუ გამივლია სახურავზე, მორიგზე, რომელიმეზე, ან ფეხი დამიდგამს მორიგ უცხო, ნაქირავებ ბინაში - თითქოს ყველგან დაღვრილა ჩემგან ნაწილაკი.

როგორც სისხლი თოვლზე.

ყველა შემხვედრი და არშემხვედრი ობიექტის გრავიტაციამ წაიღო იმდენი, რამდენიც შეეძლო.

როგორც სამყარო დიდი აფეთქების შემდეგ ფართოვდება სიცარიელეში და აფრქვევს გალაქტიკებს, მზის სისტემებსა და „კოსმოსურ მუსორს“.

ვიფანტებოდი მანამ, სანამ ჩემგან არაფერი დარჩა, გარდა იმ სხვა დუმილის, რომელიც ვარსკვლავებზე ძველია (და „ვარსკვლავები რას მიშველიან“), და სუსხის, როგორიც აქვს დეკემბრის მზეს ჩვენი თვალუწვდენელი ქვეყნის პატარა ქალაქებში, სოფლებსა და განსაკუთრებით თბილისის გარეუბნებში, რომლის მიკრორაიონები, კვარტალები და მასივები ისეთი განაშენებულია, რომ არის ადგილები, სადაც საბჭოთა დაგეგმარებიდან - ველურ-კაპიტალისტური, იაფად მოციმციმე გამოვლინებების გავლით - უცებ აღმოსავლეთ ევროპის გეტოში აღმოჩნდები, ოღონდ აღმოსავლეთ ევროპას აქ ერწყმის ქართული ტემპერამენტი, პოლიფონია, რომელიც ყოველდღიურობაში განწერილი და რომელიმე მორიგ იმპერიასთან პოტენციური ომის საფრთხე, რომელიც გამტარ ლინზასავით ედება მზეს, მაგრამ მხარე ჩვენი მაინც ისეთი მზეუხვია, რომ „კავკასიის პარიზი“, ვფიქრობ, „ჰვიებს უკუნისამდე“.

რა, ვერა?

და ასე, როცა „ჩვენი ცხოვრების შუაგზაზე ბნელ ტყეში აღმოვჩნდი“, და როცა ჩემგან არაფერი არ დარჩა, როცა ყველაფერი გავფანტე, - ჩემიც და სხვისგან გაჩემებულიც, - დადგა დუმილი მზის ჩრდილში.

ახლა კი ვგრძნობ, როგორ ვინყებ შეგროვებას, ზოგჯერ ფრთხილი სელექციით, როგორც ფილატელისტი, ზოგჯერ გარდაუვალი ტერორით, როგორც ევოლუცია. ყველას გვაქვს ეს ეტაპები, ციკლები, ზღვის მიქცევ-მოქცევა. უცნაურია, მაგრამ ესეც ათასობით წლის წინ არის აღწერილი (როგორც ყველაფერი სხვა, რაც გვემართება მზის ქვეშ).

ასე წერს ეკლესიასტე:

„ყოველივეს თავის დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში... ჟამი მოკვდინებისა და ჟამი განკურნებისა; ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა. ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა; ჟამი გლოვისა და ჟამი ლხინისა... ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა... ჟამი პოვნისა და ჟამი დაკარგვისა; ჟამი შენახვისა და ჟამი გაფლანგვისა... ჟამი დუმილისა და ჟამი უბნობისა... ჟამი ომისა და ჟამი მშვიდობისა“.

როცა გამთლიანებას ცდილობ, - ყველა ფაზაში ზუსტად იმ ფაზას ასრულებ და არ ურევ, - გლოვის დროს არ იცინი და სიცილის დროს არ გლოვობ, მშვიდობის დროს არ ომობ და სიყვარულის დროს არ გძულს. ეს ხდება შენთვის, როგორც სეზონების მონაცვლეობა, დღე-ღამის ციკლი და სხვა მრავალი „შორეული ნიუანსი“, რომლებსაც ემორჩილებიან ჩვენი ბიოგრაფიები.

ამ მოგროვებისთვის კი ისევ დაფანტვას საჭირო, ამჯერად გაცნობიერებული, რადგან ყველაფერი, რაც მოსაგროვებელი მაქვს, სხვადასხვა ქალაქებსა და ბინებშია გაფანტული, ზოგი რამ - სხვის ცხოვრებაში დარჩენილი, ზოგიც კი ზოგ მიცვალალებულს გაჰყვა. ბოლო წელია, სულ მესიზმრება ერთი მოტივი: ჩემი პირადი ნივთები და რაღაც ასობით იშვიათი წიგნი და გამოცემა, რომლებიც სიზმარში მე მეკუთვნის, მიმოხეულია მთელ ქალაქში. დავდივარ და ვცდილობ, მოვაგროვო, მაგრამ ძალიან ბევრია და ძალიან ბევრგანაა მიმოფანტული და მიჭირს მოგროვება. მთელი სიზმრების განმავლობაში ვფიქრობ მეთოდებს, თუ როგორ მოვაგროვო ყველა ეს გაფანტული ნივთი, ტანსაცმელი და წიგნი.

დევნილობის გამოცდილებას მოაქვს რაღაცა ტიპის ნომადიზმი, რომელიც გიხსნის კარებს უხილავ სამყაროებში.

თითქოს ეს უნებლიე თუ ნებითი გადაადგილებები, „როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი, ჩქარი გრგვინვა-გრიალით“, ეს ნაწყვეტებით ცხოვრება სხვადასხვა უბანში ნემსი და ძაფით კერავდა, აქსოვდა ერთმანეთში ჩემთვის ამ უბნებს, რომლებიც თითქოს ეს-ესაა მოსძვრებიან ქალაქს და დაინწყებენ უმიზნო ცურვას არაცნობიერ ლანდშაფტებში და თბილისის ერთი ბოლოდან მეორემდე მიღწევა დაემსგავსება კონტინენტებს შორის ოკეანის გადაცურვის შეუძლებლობას, რადგან ერთადერთი, რაც ჯერ ყველას გვაკავშირებს ერთ ქალაქად, უკვე არ არის საერთო გამოცდილება, არამედ სატელევიზიო სიუჟეტების ურთიერთსაინანაღმდეგო ნაგლეჯებია, რომლებსაც ისეთი ყვირთული თავგამოდებით გადმოგვცემენ, თითქოს ყველაფერი, რაც აქ ხდება, ყველას ერთნაირად გვეხება.

გვეხება.

მაგრამ სხვადასხვანაირად და ყველას თან - არა.

ხეტიალი კრავს გაფანტულ კადრებს. ხეტიალი გაჩვენებს სხვა ქალაქს ქალაქში. ბევრმა თბილისში არ იცის, თუ როგორ შეიძლება უსასრულო მოგზაურობა ეპოქიდან ეპოქაში, ესთეტიკიდან ესთეტიკაში, მხოლოდ თბილისის შიდა უბნების გამოყენებით. ცალკე სამყაროა ბინების დაქირავების საიტები, მათი მეპატრონეები, მაკლერები, ის ესთეტიკა და ხედვის კუთხე, თუ როგორ არის გადაღებული ბინების ფოტოები, რომლებსაც საიტზე ათვალიერებ. ბევრმა არ იცის, როგორ უნდა გამოიყენოს სისტემა „ბინები დღიურად“, რომელსაც ბინები დღიურად ყველა უბანში აქვს და იაფი ღამეების ქსელია - პორტალი. ბევრს არ გაუგია, რომ ბატონყმობა აქ არასოდეს „გადავარდნილა“, მხოლოდ იერი იცვალა და ნამდვილი ბატონები ცოტანი არიან, ყმები - დანარჩენები. ბევრმა არ იცის, რამდენი შემლოცველი, მკითხავი და შავი მაგი ცხოვრობს ტერიტორიებზე გარეუბნის ცივ კორპუსებსა და „ბინები დღიურად“-ს შორის. ასეთი უსასრულო ხეტიალით ქალაქის ისეთ quest-ებსაც ხსნი, როგორიცაა, მაგალითად, „მკითხაობა კორპუსის ფანჯრებში შუქების ანთება-ჩაქრობის მიხედვით“. ან როგორ ურბანულ მაგიაში ამოყოფ თავს, თუკი ივლი „ფეხის“ დადებული ლოკაციის მიმართულებით, მაგრამ ერთი გადახვევა და აღმოჩნდები ვარდისფერ ფანჯარასთან აფრიკული ხრუშჩოვკების სიღრმეებში და თბილისის თავზე გადამფრენი თვითმფრინავების დატოვებულ კვალებზე ამოიკითხავ საახალწლო სევდას.

ასე რომ, ჩემი მოგროვება, პირველ რიგში, ხეტიალის გახსენებაა, რადგან მოძრავი კადრები უზრუნველყოფს ჩემში ავტობიოგრაფიულ უწყვეტობას დროში. ერთი სიტყვით, უზრუნველყოფს, რომ არ დაგავინწყდეს ისტორიის შენი მხარე. მე მჭირდება საკუთარი ამბის ჯიუტი ქსოვა ნებისმიერი მატერიალისგან, რაც გზად შემხვდება - სხვანაირად, სულ პირველი მოგონებიდანვე, მგონია, რომ დავიკარგები. დავიბნევი. და ვიფანტები.

ეს ხეტიალი სრულ ღიაობას, სრულ მოწყვლადობას მოითხოვს. ამ ხეტიალის დროს შეიძლება შენ დაიღუპო, არ გიშველის ჩანთაში დამალული ჩაქუჩი, მაგრამ შენ არ იღუპები, რადგან არავის გარშემო - არც შენობებს და არც ვარსკვლავებს - არ წარმოუდგენია, რომ ვინმე შეიძლება ასეთი გახსნილი გამოვიდეს გარეთ. ეს არის შენი თავისუფლება.

თბილისის თითქმის ყველა უბანში 20-წლიანი ხეტიალის შემდეგ ახლა ვცდილობ, თავი მოვუყარო მოვლენებს, „მოძრაობებსა და ალტყინებებს“, გამოფენებს, მოგონებებს, მარცხებს, გამოცხადებებს, მათ, ვინც ქალაქი დატოვა და მათ, ვინც ცხოვრება დატოვა - ვცდილობ, თავი მოვუყარო ყველაფერს, რაც თან ახლდა ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე საიდუმლო, საკრალურ პროექტს - ზღვა გამომეყვანა თბილისში ძველი კოლხეთიდან, აფხაზური სუბტროპიკებიდან და გამეხსნა ოფისი ნებისმიერ საქმიან უბანში

დიოსკურიის პორტის თბილისის ფილიალი:

როგორც დიოსკურიელებისგან ნასწავლი გამოცდილება იმის შესახებ, თუ როგორ ხდება სწორება ერთ ვირტუალურ პორტზე მთელ მსოფლიოში გაფანტული დევნილების მხრიდან.

ანდაც, უბრალოდ, თბილისის პორტი:

მათთვის, ვინც ჩვენსავით თავს ერთდროულად ქალაქის ნაწილად მიიჩნევს და ამავდროულად თავს გრძნობს უპატიებელ შეცდომად ქალაქში; ყველასთვის, ვინც ყვავილობს მხოლოდ არსებული ქალაქების არარსებულ ლანდშაფტებში; და მათთვის, ვინც ზღვაშია.

აი, დავინყე წერა და უცებ თავი გამოვიჭირე იმაში, რომ რაღაცას ვხსნიდი, რაღაცას ვუძებნიდი ლოგიკურ ან იდეოლოგიურ გამართლებას, თავი გამოვიჭირე იმიტომ, რომ ვიცი, საიდან მოდის ეს ახსნის სურვილი.

ჩვენი საზოგადოების ისტორიულ-კულტურული გენეტიკა ისე დალაგდა, რომ ჩვენ მუდმივად ვიმყოფებით ეგზისტენციალური კატასტროფისა და ეგზისტენციალური ზეიმების მონაცვლეობაში.

და ამ კატასტროფების პარალელურად არტისტს, პოეტსა და მეოცნებეს სოციუმიც და ყოველდღიურობაც გამუდმებით უსვამდა/უსვამს კითხვას:

- რა დროს ეს არის?

კატასტროფის რეჟიმში მომუშავე კულტურა ვერ უშვებს არაგამოყენებითი, „არაპროდუქტიული“, არაკოლექტიური საქმიანობის „ფუფუნებას“ და პოეტებსა და ხელოვანებს მუდამ უწევთ საკუთარი „არაპროდუქტიული“ „ბოდვების“ „გამართლება“, გამუდმებით უწევთ იმის ახსნა, რაც ხანდახან არ იხსნება. როგორ უნდა ჩაათიო შუადღის ნაპრალიდან დანახული მარადისობა ან შინაგანი წყვილი, რომელსაც „სათავე აქვს სადღაც ქვესკნელში, სადაც იღება ღამის ქიშკრები“, ექსელის ცხრილში?

არავინ ამბობს: „მე იმ ტკივილის გამო მოვედი, შენზე გაგონილმა ამბავმა რომ მაგრძნობინა“, ყველა ამბობს: „ჩემი ბიზნესის იმიჯს რას მოუტანს შენი სევდიანი სიმღერები?“

„მინდა, რომ ქერუბიმთა მსგავსი თვალეები გქონდეს და არა მძინარე“, - ამბობდა ათონელი ბერი. თუ ხელოვნება არ გაიმარჯვებს ჩვენს ქვეყანაში - გაიმარჯვებს არავინ. „პლუს-მინუს, ემ ცე კვადრატ (m²), ეფ, ფუძე (v) ვნებათაღელვის უსასრულობისა და შეცნობილი აუცილებლობისაკენ! მიდით, ერთაოზ!“

02. ფოთის პორტი

„23. ზღვაში ხომალდებით გამგზავრებულეებმა, დიდ წყლებზე საქმის მკეთებლებმა -
24. მათ ნახეს საქმენი უფლისა და საოცრებანი სიღრმეებში“.
- ფსალმუნთ 106

„L'être voué à l'eau est un être en vertige. Il meurt à chaque minute, sans cesse quelque chose de sa substance s'écoule. La mort quotidienne n'est pas la mort exubérante du feu qui perce le ciel de ses flèches; la mort quotidienne est la mort de l'eau. L'eau coule toujours, l'eau tombe toujours, elle finit toujours en sa mort horizontale. [...] La peine de l'eau est infinie“.
Gaston Bachelard

ომის შემდგომი პერიოდია. ზღვის პირას გავდივართ ხოლმე დილაობით, რომ წყლის გამორიყული ხმელი ტოტები, ფიჩხები მოვავროვოთ ღუმელისთვის. ერთ-ერთი ასეთი გასვლაა. როცა ფიჩხებს აგროვებ - ქვევით იყურები - ხედავ ქვიშას, შენს ფეხებს ქვიშაში, ფიჩხებსა და საკუთარ ხელებს. ხანდახან ტალღის კიდე შემოვა ხედვის ეკრანში და ისევ გავა. მაშინ ჯერ კიდევ ნაპირისმაგვარი რამ არსებობდა ფოთში. ის მერე ზღვამ ჩაყლაპა.

და ასე ქვევით ყურებით მივადექი რაღაცას. დელფინი გამოერიყა ზღვას, მკვდარი. არაბუნებრივად გაბერილი და დამახინჯებული, მაგრამ დელფინი. ისე შემეშინდა, ადგილზე გავიყინე, რაღაც სიზმრისეულ ურჩხულს ჰგავდა, მაგრამ შიში ნელ-ნელა უკან ნავიდა და ადგილი მისცა სევდას, რადგან ეს ზღაპრული არსება, რასაც ვუყურებდი, უცებ დავინახე, როგორც არაფერი. სიცარიელე. უშინაარსო სიცარიელე. ორგანული ქსოვილი, რომელიც არაფერს ნიშნავს, არაფერს გაძლევს, მაგრამ ყველაფერი მიაქვს.

- წამო, კაპიტანს გაგაცნობ, ჩემი ძმაკაცია.

მამაჩემს მივყავარ პორტის მიმართულებით. ყინავს. სადღაც თოლის ხმა ისმის, როგორც უცნობი ზღაპრიდან ბოროტი დედაბრის კისკისი. გავცდით შავ მიწებს, სადაც მამაჩემი და მეზობლის კაცები რატომღაც მზის ამოსვლამდე პერიოდში მიდიან და თხრიან ამ შავ მიწებს და თხრიან, იქიდან ამოაქვთ შავი ნახშირი. თვითონაც სულ შავდებიან. ზოგს ყიდიან, ზოგით ცეცხლს ვანთებთ სახლში. შემდეგ ვცდებით პორტის შესასვლელში პატარა გემებს სათაურებით: „კაპიტანი ბუკია“, „განთიადი“ და ა.შ. ამ განთიადებსა და ბუკიებს მოაქვთ ხოლმე ცურვიდან ძალიან ბევრი თევზი - ძირითადად ქაფშია, „ხამსას“ რომ ეძახიან და უსასყიდლოდ გვირიგებენ ჩვენც და ადგილობრივებსაც. უბრალოდ, უნდა მიხვიდე პორტში, როცა გემი დაბრუნდება, ჩადგე რიგში და ხელში გეჭიროს პარკი, რომელსაც თევზით აავსებენ ეს მეზღვაურები, ეს მეზღვაურები, ეს სვიმონი პეტრედ წოდებული და ანდრია მისი ძმა, ეს იაკობ ზებედესი და იოანე მისი ძმა - პანია გემების კაპიტნები.

უფრო ღრმად შევდივართ პორტის ტერიტორიაზე და ვუახლოვდებით გემს. გემი დიდი, სქელი ბანრებითაა მიბმული

პატარა მსუქან ბოძებს.

გემზე ავდივართ. გვხვდება კაცი. კაპიტანი. მამაჩემის ძმაკაცი. მატარებლის ვაგონით გრძელ კუბეში გვპატიჟებს, აქ ბევრი ჩამოსაჯდომია. ყავას ადუღებს. მე შოკოლადს მჩუქნის. დიდხანს ჰყვება, თუ რას უპირებს და რას ვერ უპირებს გემს. გასარემონტებელი მაქვსო, - ამბობს, - უნდა მალე გავიყვანოო, - ამბობს, - პორტთან პრობლემები მაქვსო. აი, აქ მძინავსო, - გვანახვებს კაპიტნის ოთახს - მატრასით, ბალიშებით, კედელზე გახუნებული პოსტერით ვიღაც ქერა ქალის (მადონა?). ოთახი გაბოლილია სიგარეტით.

მცურავი სახლი, იძულებით მიკედლებული უცხო ნავსაყუდელს.

„თვითმფრინავების კვალს ვაკვირდებოდი ცის მონიტორზე, თეთრ ზოლებს მივყვებოდი თითით გაუჩინარებამდე, ვმკითხაობდი ამ კვალზე, როგორც ყავაზე მკითხაობდნენ დედაჩემის დაქალები მისტიკური სახეებით პატარა პროვინციულ ქალაქში, რომელსაც უმცირესი ღრუბელიც ტბორავს წვიმით და მანქანას ჯობია, გყავდეს ნავი. კატერი უკეთესია. უპატრონო საფლავებიდან კუბოები იშვერენ კუთხეებს ქვიშაში ჩაძირული გემებივით - დაუქნიე ხელი მისალმების ნიშნად, ძროხები ძოვენ სკოლისა და მერიის ეზოებში - დაუძახე „მუუ“, იცინე, შეიმეცნე ანარქიზმის საფუძვლები. გოგოები კითხულობენ რუსული მოდის ჟურნალებს და მათი მომავალი საქმროები ეწვეიან ადგილობრივ მარიხუანას ინდუსტრიალიზაციის ფანტომურ ნანგრევებში, სადაც ცა ჰგავდა ცარიელ ლურჯ თეატრს ვარსკვლავური ომების მოლოდინში - მთელი ბავშვობა“.

სამეგრელოში ზღვის პირას წვიმები იცის - წვიმს დღეები, ზოგჯერ კვირაზე მეტ ხანს გრძელდება. წვიმს და წვიმს. თითქოს რადიო შიშინებს ცაში და ამ უარხოობის ფონად ისმის შენი: სიტყვები, დუმილი, სიზმრები, გვამი.

ზოგჯერ ისე წვიმს, რომ წყალი სადარბაზოშიც შემოდის, პირველი სართული წყლით იფარება. მეზობლები პატარა ნავებით გადადიან ერთმანეთთან ყავაზე და სერიალის სანახავად. ყველაფერი სველია, ყველაფერი გავიწყდება. სადაცაა, ზღვაც გადმოვა ნაპირებიდან და ჩვენს ხრუშჩოვკებში დელფინები მოცურდებიან.

„თევზები მოვიდნენ. დამატებითი ზომებია საჭირო, რათა მკვლევრებმა დაიწყონ მუშაობა ტალღების სამედიცინო ნონ-შექმნაზე, თორემ წყალი უზარმაზარ გემებსაც გამორიყვას ჩვენს კორპუსებს შორის და ღუბები მათი ჩვენს გულელებში აისარკება“, - ასე შემოვიდა სისველე „თანაფაშიც“ და მეტი სხვა სიტყვები არ მქონდა მკითხველისთვის, რომელსაც ვეძებდი იმ ადგილიდან, სადაც ამას ვწერდი: თეთრიხევის ჰიდროელექტროსადგურის დასახლება, თბილისი.

მაშინ პატარა ქალაქს თავისი პასუხი ჩამოუყალიბდა „თბილისურ წნეხზე“. რადგანაც ჩამომდგარი პროდუქცია ოფიციალურად ჯერ იგზავნებოდა თბილისში, ხოლო შემდეგ რიგდებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით და მხოლოდ შემდეგ უბრუნდებოდა ამ პროდუქციის მიმღებ ქალაქს - პასუხად ხისტი მოძრაობა დაფიქსირდა:

გემი ჩამოდგა ჰუმანიტარული დახმარებებით, დამატებით: კონტეინერები სავსე სასმელებით, საჭმელებით, ტანსაცმლით... ბიჭების ბრიგადა პისტოლეტით ადგება პორტს, „სთხოვენ“, გაალოს რომელიმე კონტეინერი. დიდი თხოვნა ამას არ სჭირდება, ეს სპექტაკლის ნაწილია. ბრიგადირებს მიაქვთ საუკეთესო რაღაცები, რაც დაეტევათ, რომ წაიღონ. შემდეგ, სქემის მიხედვით: ქალაქში იგზავნება მაცნე, ღამის 2-ზე მაცნე დევნილებს ამცნობს, რომ პორტში ღია კონტეინერი შენიშნეს და კონტეინერი, სავარაუდოდ, ბავშვებისთვის თბილი ტანსაცმლითა და უელექტროენერგიო ზამთრის გადასაგორებელი არყებითაა სავსე. შემდეგ, პორტთან ახლოს მცხოვრები დევნილები თავიანთ მაცნეებს გზავნიან პორტისგან შორს მცხოვრებ დევნილებთან. ამასობაში ამას ადგილობრივებიც იგებენ. კონტეინერის გატეხიდან ერთ საათში, ღამის 3-ზე, პორტს მშვიერი და დაღლილი ხალხი ადგება.

როცა თბილისი რეკავს, რომ გაიგოს, ვინაა დამნაშავე - ყველაფერი ჰბრალდებათ დევნილებს:
- ისინი ღამით მოცვივდნენ ვანდალურად, გატეხეს კონტეინერი და ყველაფერი წაიღეს, ჩემო თბილისო. თბილისი თვალებს ხუჭავს, რას ეტყვის დევნილებს? დევნილები, თავის მხრივ, თითქოს კი ცდილობენ, გაარკვიონ - ვინ გატეხა კონტეინერი, მაგრამ ეს საერთოდ არაა მთავარი, მთავარი ისაა, რომ თბილი ზედა არსებობს. ადგილობრივებიც კმაყოფილები არიან. ყველა კმაყოფილია, რადგან მოყინა, რაც ნიშნავს, რომ ითოვებს. და თუ დაჰკვირვებხართ, როცა ბარდნის, მაშინ რთულია ფიქრი.

„როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი! როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!“ - გ. ტაბიძე

აქ უნდა მოვიყვანოთ ნაწყვეტები კარლო კაჭარავას ლექსიდან. კარლოც დასავლეთ საქართველოში დაიბადა და გაიზარდა, მის ტექსტებში ვერ ასცდებით იმ წვიმას, მელანქოლიას და იმ უსუსურობას სამყაროს წინაშე, რითაც ჩვენც გავიზარდეთ.

„შენ დაიბადე ფოთის ელევატორთან ნიკო ნიკოლაძის ქალაქში. გვერდით ოთახში ეკიდა აკაკი წერეთლის ღიმილი ცუდ რეპროდუქციაზე. შენი კუთვნილი, მათ შემდეგ მოსულმა, შენმა უკვდავმა ბაბუებმა შეჭამეს.

....

რადგან წინაპრებშიც არიან უკვდავნი და მკვდარნი. როგორც ჩანს, მიხვდი, რომ ეგნატე წინოშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, კოტე კაპანელი, ვალერიან გაფრინდაშვილი, შალვა კარმელი და ტიციანი შენი წინაპრები არ უნდა იყვნენ.

შიშხილით კვდომა სამარცხვინოა ღვთისმშობლის ქვეყანაში.

შენ დაიბადე ფოთის ელევატორთან. შენ დაიბადე ზღვასთან.

შენ დაიბადე პალიასტომთან, ღარიბი ექიმის გვამთან, რომანტიკულ მეძავთან,

ბულვარის ფოტოგრაფთან, იაფ სასადილოში, რომელიც დღეს სამოთხედ ჩანს. რომელიც დღეს მართლა იავნანაა ნახევრად მშიერთა მოხეტიალე გუნდებისათვის. სიზმარში შენ გინახავს ტოლსტოი, შვარცენეგერი, ბიოლი და ცოტა გარსია ლორკაც.

იქ, სადაც არ ისვრიან, შენი სამშობლო აღარაა.

„მამავ, მამავ, მომეცი ცოტა ფული და ხეტიალის უნარი

და ნუ დაივიწყებ დასავლეთ საქართველოს წვიმიან სასაფლაოებს. ჩემს ცას, რომელსაც მთელი ცხოვრება მართმევენ ჩემიანები“.

შენ ეს არ გითქვამს, შენ არ გძინავს, შენ თოფით იცდი, შენ მებაჟე ხარ.

1993 წ.

03. ქუთაისის პორტი

„გემით „დალანდი“ მოვდიოდი სამშობლოსაკენ და მთვარისაგან გაღვიძება გულს დარდად ჰქონდა, მაგრამ სამშობლოს ძველი გზებით ველარ მოვაგენ და არ მახსოვდა: მქონდა იგი, თუ მომაგონდა?“

გალაკტიონ ტაბიძე - გემი „დალანდი“, 1918

ყველაფერი, ისევე როგორც ყველაფერი, დაიწყო გაცილებით ადრე, ვიდრე ამ ყველაფერს ჩვენ მივუსწარიტ, მაგრამ ეს კონკრეტული ამბავი გავიგე მხოლოდ 2010-იანების დასაწყისში, როცა მეგობარმა გამომიგზავნა „ნიუსი“, სადაც ჩემთვის უცნობი მამაკაცი მოითხოვდა ქუთაისის გადაქცევას საპორტო ქალაქად.

ვიკიპედიაში ომარ ნიშნიანიძის შესახებ წერია: „ქართველი თანამედრობის პირი, პოლიტიკოსი, ისტორიკოსი“, სიახლეებიდან შევიტყვე, რომ ის ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორია, მაგრამ ჩემთვის ბატონი ომარი, პირველ რიგში, პოეტი და ონტოლოგიური ანარქისტია. მხოლოდ მენტალური აგებულებით პოეტს შეუძლია, ასეთი დარწმუნებითა და საბუღალტრო დადასტურების მზაობით მოითხოვოს მითოსურისა და კაიროსის დაბრუნება ყოველდღიურობაში. ეს ასევე შეიძლება წავიკითხოთ, როგორც ამბოხი ვულგარული დროის წინააღმდეგ. მხოლოდ ასეთ ძენ-კოანში ხდება შესაძლებელი, თვალი მოვკრათ თავისუფლებას, რომელიც „აჩრდილივით შანსია“, ერთი კუდიანი წამი, რომელსაც უნდა ჩაეჭიდო.

ვინაიდან ნათქვამია: „არც ჩვენამდე და არც ჩვენ შემდეგ არ იქნებიან სხვა ღმერთები“, და ამ სიტყვების უკან თითქოს ექოდ ისმის გნოსტიკური სექტების ერესები, კარნავალების მუსიკა მეკობრე კაპიტან მისსიონის „ლიბერტარიაში“ და სიტუაციონისტების ფსალმუნები ყოველდღიურობის ამოტრიალებაზე.

სანამ მე თბილისის კორპუსებს შორის ზღვას ვეძებდი, ქუთაისში პოლიტიკოსი და პროფესორი რიონიდან აიაში გემების შემოყვანას აანონსებდა. მახსოვს, რომ გამიჩინდა სულიერი ნათესაობის მსგავსი შეგრძნება ამ კაცის მიმართ, თითქოს ჩვენ ორივეს ერთი და იგივე სენი გვჭირდა - დავიდალეთ ხმელეთით, უდაბნოთი და კაპიტალისტური ვიწროინდივიდუალური არსებობის წესით, დავიდალეთ მატერიალიზმით და სათაღლითო ქოლცენტრების ღირებულებებით შექმნილი სქემურული კულტურის ნაცვლად - ჩვენ გვწყუროდა გემების სირენები და უსასრულო ჰორიზონტი.

მეკობრეები შორიდან ცნობენ ერთმანეთს.

მაშინ სასწრაფო წესით შევკრიბე საყოველთაო კრება. სულ, ალბათ, 6 ადამიანი.

მეთოდოლოგია ასეთი იყო:

უნდა დაგვედგინა, სად გაჩნდებოდა ქუთაისის მომავალი პორტი. და დაგვესკვოტა ადგილი.

უნდა გვეპოვა ბათუმის, პორტო ფრანკოს დროინდელი რუკა და გვეპოვა ქუთაისის თანამედროვე რუკა. ბათუმის რუკა უნდა გადაგვედო ქუთაისის რუკაზე და მოგვენიშნა ადგილი, სადაც პორტო ფრანკოს რუკაზე აღნიშნული პორტი დააჯდებოდა ადგილს ქუთაისის რუკაზე.

ვეძებდი რუკებს, მაგრამ მაშინდელი ქართული ინტერნეტი უვარსკვლავო ქართულ ესტრადაზე უფრო მწირი იყო. მთელი ზაფხული ვკრებდი ხალხს. ვის არ მივწერე და დავურეკე. ახლა რომ მახსენდება, ნახევარი ცხოვრება ასეთ აქტივობებში მაქვს გატარებული: გადარჩენისთვის ბრძოლა ყოველთვის წარმოებდა რაღაცა სასწაულის ძიების ფონზე და გამო. სხვა გადარჩენა მე არ მინდოდა. და არც ახლა მინდა.

ჩვენი წყვეტილი კვლევების კვალმა მაშინ ქუთაისის პარლამენტის ტერიტორიამდე მიგვიყვანა.

საბოლოოდ, წლების მერე თავისით მიპოვა ეფემერულმა ნავსაყუდელმა. მოვიდა, როგორც გემი და ლანდი. ასეთი სახით:

სადღაც 30 წელზე მეტი გავიდა აფხაზეთის ომიდან და სახელმწიფომ უბინაოდ დარჩენილ დევნილებს დაურიგა ბინები, ოღონდ მათი კონტექსტის სრულიად გაუთვალისწინებლად, მისცა იმ ქალაქებში, სადაც მისცა, ხშირად სხვა ქალაქში, ვიდრე იმაში, სადაც ფეხი მოიკიდე. და ახლა ისევ უნდა გადაცხოვრდე სადღაც - ბინა მოგცეს, დანარჩენი შენზეა, როგორ გადაეწყობი.

ეს „ბინების გადმოცემა“ მოხდა ქუთაისში, თუ არ ვცდები, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის დარბაზში? თეატრში (ნეტავ, ბატონი ომარი არ ესწრებოდა ფარულად კრებას? სად იპოვი უკეთეს არგონავტს, ვიდრე დევნილებს შორის?)? ყოველ შემთხვევაში, ჩვენ სხვადასხვა ქალაქიდან და ქუთაისის სხვადასხვა უბნიდან ამა და ამ დროს ამა და ამ საათზე (დილის 10 საათზე!) შეკრებილი დევნილები შეგვიყვანეს დარბაზში, სადაც იყო თეატრალური სცენა.

დარბაზში შევყავდით დარბაზის გარეთ გვარების გამოცხადებით. არავის მოფიქრებია მიკროფონი და დინამიკი, ანდაც მეგაფონი მოეტანა. ვიღაც კაცი დარბაზის კარებთან ბოლო ხმაზე ყვიროდა გვარებს, სხვა კაცები, უკვე დევნილები, იმეორებდნენ ამ

გვარებს ყვირილით, გადაძახილებით, და ასე, ეს გვარები აღწევდნენ რიგის ბოლომდე. ასე შევედით.

დარბაზში შესული დევნილები განთავსდნენ ცარიელ სკამებზე, როგორც მაყურებლები (მეტი სად უნდა ნავსულიყავით?).

სცენაზე ცოცხალი დეკორაციები დაგვხვდა - საბუთებიანი ქალები ისხდნენ პრიალა მაგიდებთან სცენის სიღრმეში, სცენის ყველაზე წინა ნაწილში იდგა ლატარიის ბილეთების დასატრიალებელი ყუთი, ამ ყუთს მიმაგრებული ჰყავდა თავისი კაცი - დამტრიალებელი. სპორტული ფორმიდან საკმაოდ ამოვარდნილი შსს-ს ბიჭი ეჭვიანი სახით და მდუმარედ, მაგრამ საქმიანად სერავდა სცენას დიაგონალებზე. რომ ნახა, ვიდეოს ვილებდი, თავადაც დამიწყო გადაღება. გავუღიმე-გამიღიმა. უცებ არსაიდან, ქარიშხალივით შემოვარდა სათვალისანი კაცი, მიკროფონში განაცხადა, რომ მინისტრია და სწრაფად მოჰყვა სპექტაკლის სცენარს, რომელიც უფრო ინსტრუქციას ჰგავდა:

- გამოვაცხადებთ გვარებს, ეს გვარები მოხვალთ სცენის ამოსასვლელ კიბეებთან, შემდეგ იქიდან გამოგიშვებენ ლატარიასთან. აქ ჩაყრილია ბინები - თითო კონვერტში განერილია კორპუსი, სადარბაზო, სართული, ბინის ნომერი - რათა ყველაფერი გამჭვირვალედ მოხდეს, თქვენ თავად აიღებთ თქვენი ბინის ნომერს - ლატარიის გამჭვირვალე მანქანიდან, ყველას თვალწინ.

ბინების რენდომიზირი დაიწყო და სცენაზე დავიწყეთ სიარული დევნილებმა - ჩვენი გვარების გამოცხადების მიხედვით. ჩემი გვარი 2 საათის თავზე გამოცხადდა - ამდენ ხანს ტრიალებდა ბედის ბორბალი, ჩემს მერეც ბევრი ხალხი იყო დარჩენილი.

ცხადდება შენი გვარი მთელი დარბაზის გასაგონად, მას მინისტრი აცხადებს მიკროფონში. ცხადდება სცენის გვერდითა ასასვლელ კიბეებთან, შემდეგ, როცა დაცვა მოგცემს ნებას - ადიხარ სცენაზე სხვა გამოცხადებულ გვარებთან ერთად, იქაც მინი-რიგი და ჩოჩქოლია და სანამ შენ სცენაზე ხარ, დანარჩენი დევნილები გიყურებენ დარბაზიდან და ელიან თავიანთ რიგს.

გეძახის მინისტრი, უახლოვდები. კაცი დამტრიალებელი ატრიალებს ბედის ბორბალს და აღებს ვინრო სარკმელს. ყოფ ხელს შიგნით, ამოგდის კონვერტი, კონვერტში შენი მომავალი სამუდამო მისამართია პატარა ფურცელზე ამობეჭდილი. შემდეგ ამ ფურცელს აწვდი უკვე გაოფლილ, გადაღლილ მინისტრს, რომელიც მიკროფონში კითხულობს შენს მისამართს. აქა-იქ მოხუცი ქალის ხმა ისმის, გილოცავს სახლს. დარბაზში ყველა ასაკის ხალხია, ბავშვებიც ბლომად ირევიან და თაბრუ ეხვევათ დახუთულობისგან. შემდეგ მინისტრი გითითებს სცენის უკანა მხარეს - მაგიდებიანი ქალებთან. მიდიხარ, აწვდი ამ ფურცელს, აწვდი პასპორტს, აწვდი დევნილობის მოწმობას, ღმერთი მოგყავს მოწმედ.

აუცილებელია, რომ ასევე თან გყავდეს შენი 80 წელს მიღწეული მშობელიც, თორემ ბინის გასაღებს ჯერ ვერ მოგცემენ.

დარბაზში არ იყო არც წყალი, არც რაიმე სხვა მინიმალური, ეგზისტენციალური კომფორტი. წყლის დასაღევად დევნილები მიდიოდნენ შენობის ტუალეტში და დარჩენილ დევნილებს სთხოვდნენ, რომ, თუ მათი გვარი გამოცხადდებოდა, სასწრაფოდ დაეძახათ მათთვის: ჩვენ ისეთი ტრავმა გვაქვს, რომ გვგონია, ჩვენს კუთვნილ სახლს დავკარგავთ, თუ მინისტრის თეატრალურ დაძახილზე იქვე არ გამოვჩნდებით. შეიძლება ასეცაა ენერგეტიკულ-ვიბრაციულ ველში, ჩვენი დაუსრულებელი ბატონყმური სისტემის ფარგლებში. იქ, ჩვენს თავებს ზევით, ოპერის აჩრდილებივით ტრიალებდნენ სახელმწიფო სტრუქტურები, ომები გარდასულ დღეთა და არა გამიზნული, მაგრამ სისტემატიზებული ურთიერთიარგვრა, უკვე ნაციონალურ იდენტობაში რომ გადაგვდის.

ასეთი იყო ის დღე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში.

2013 წლის სიახლეები იუნყება:

„ქუთაისი შესაძლოა, მალე მსოფლიოს ის ერთადერთი ქალაქი გახდეს, რომელსაც ზღვის გარეშე საპორტო ქალაქის სტატუსი ექნება. ეს ჯერ მხოლოდ იდეაა, მაგრამ იდეის ავტორის მეორე ინიციატივას სულ მალე სისრულეში მოიყვანენ“.

სხვაგან ვკითხულობთ:

„ეს ოცნებისა და სიზმრების სფეროს განეკუთვნება, თუ რა ხდება? საპორტო ქალაქი როგორ უნდა იყოს, ტვირთი ჩამოვა ფოთიდან ქუთაისში, თუ შავი ზღვის ფილიალი იქნება?“-კითხვა დასვა გია თევდორაძემ“.

ბატონმა ომარმა ამ კრიტიკას სერიოზული პასუხი დაახვედრა და მოულოდნელი მრავალათასწლიანი წრე შეკრა არგონავტების მოსვლასა და თანამედროვე ქუთაისს შორის. მაშინდელი ტელევიზია აცხადებს:

„დეპუტატი ომარ ნიშნიანიძე ქუთაისის შემოსასვლელში „აიეტს“ დგამს. ჰელიოსისა და პერსეს „მრისხანე“ ვაჟისა და ძველი კოლხეთის მითური მეფის მონუმენტს, სავარაუდოდ, ნიკეაზე დადგამენ“.

მეორე გამანადგურებელი დარტყმა ბატონი ომარისგან ნიკო ნიკოლაძის მოშველიება იყო. აღმოჩნდა, რომ მსგავსი იდეები წინა საუკუნის დასაწყისშიც არსებობდა და ამას კარგად ჰყვება თავის ესეიში „ნიკო ნიკოლაძე რიონზე ნაოსნობის შესახებ“ - ლია ბიბილეიშვილი.

ამ მოვლენებიდან რამდენიმე წელიწადში, 2019-ში, ბატონმა ომარმა მორიგი დარტყმა განახორციელა ჩვენი კვაზირეალობის სუსტ ქსოვილზე:

ვაკოპირებ ჩანაწერს 1tv.ge-ს ვებსაიტიდან:

„აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორისა და ყოფილი დეპუტატის, ომარ ნიშნიანიძის მიერ აგებული გემი „არგო“ ვანელობის დღესასწაულთან დაკავშირებით სოფელ ჭყვიშში, გალაკტიონ ტაბიძის სახლ-მუზეუმთან მიცურდა.“

პერფორმანსის ფარგლებში გემზე არგონავტები იმყოფებიან, რომელთაც წინ ქალღმერთი ჰერა მიუძღვით. ვანში კი მათ აიეტი და მედეა დახვდნენ. როგორც პერფორმანსის იდეის ავტორი აცხადებს, მან საუკუნეების ისტორია გააცოცხლა და ის გზა გამოიარა. ომარ ნიშნიანიძის თქმით, გზად გაუნმენდელმა მდინარემ პრობლემები შეუქმნათ, თუმცა დანიშნულების ადგილზე ჩამოსვლა მაინც მოახერხეს“.

ქუთაისში ბინის გადმოცემიდან რაღაც პერიოდში ჩავედი, რომ მენახა, სად ვცხოვრობ და რა არის გასაკეთებელი. არ ვიცოდი, სად იყო ეს ქუჩა და კორპუსი - ლატარიაში ამოსული, დაქანცულმა მინისტრმა რომ ღვთის სახის წინ განაცხადა და როცა ვიპოვე ეს კორპუსები, მივხვდი, რომ სწორი გზით მიცურავს გემი - კორპუსი დგას მიტოვებული პარლამენტის წინ, სადაც ძროხები მარადისობის რეჟიმში ძოვდნენ ამ მზის ქვეშ და სადაც გვეგულებოდა ქუთაისის მომავალი პორტი პატარა ფსიქოგეოგრაფებს დეკადების უწინ.

04. თბილისის პორტი

„თუ გსმენია სირენა ხომალდის ქალაქში, სადაც არ არის ზღვა?“ - წარწერა კორპუსის სახურავზე, ვარკეთილი 3 მიკრორაიონი, 18

„ექიმმა გამომიწერა - მარტო ჩაი და კისელი. კისელისათვის წავიდა ოლია დარბაისელი. ვზივარ და ვუცდი ამ კისელს - მაგრამ რას ელი, ვის ელი? კისელს ვინ ჩივის, არა ჩანს ქალი მტკიცე და ფხიზელი. ოღონდ შენ მოდი, ოლია, კისელს მოემტვრეს კისერი. ვწერ ამ ლექსს გალაკტიონი, თბილისელ-ქუთაისელი“.

გალაკტიონ ტაბიძე, 1925

ვინ წერდა, არ მახსოვს იმიტომ, რომ ვინც წერდა, მოკვდა:

„და ადვილი იყო ცხოვრება ამ განწირულ ვარსკვლავურ უდაბნოში, გარემოცული მიმზიდველი უფსკრულებით, მანქანებითა და ამხანაგებით“.

ის რამდენიმე დღე 2017 წლის ზაფხულში ჰგავდა მითოსურ დროს. დღეები საათის მიმართულებით კი არ ეცემოდნენ დომინოს პრინციპით, არამედ წავიდნენ თავის თავში, სიღრმეში და თითქოს იყო მხოლოდ ეს ერთი დღე, „და დღე იყო უფრო გრძელი, ვიდრე წუთისოფელი“. თითქოს პლანეტის პირველი დღე იდგა ქალაქში - მისი შუადღე თავს ედგა პავილიონს წერეთელზე, საგამოფენო სივრცეს, მორკალული მარადიული სადაისოთი კი თავის თავში მოექცია ყველა სხვა უბანი.

ჯერ გემი ცაში ვნახე. იმ კაპიტანს თავისი სახლის ეზოში ორი მცირე გემი ეყენა - ავრორა და ეს - ჩვენ რომ დილადავ ვაქციეთ. გემები აქამდე არავის ენახა ეზოს მიღმა, და როცა სპეციალურმა მანქანამ რამდენიმე ტონიანი გემი ჰაერში ასწია, რათა თავის ზურგზე დაედო, გემი გამოედო დენის კაბელებს. ორი წამიც და ლოტკინზე შუქი ჩაქრებოდა. როგორც ეს ასე ხშირად ხდებოდა ჩვენს ქალაქებში ნანატრ 90-იანებში. ნანატრ 90-იანებში ლოტკინი ცნობილი ადგილი იყო ნარკოტიკის საშოვნელად, ამ უბანს არ ენახა აქამდე გემის საშოვნელად მოსული ნარკომანი.

სანამ გადამზიდების ჯგუფი არკვევდა, როგორ აეცილებინა გემის ქვედა ნაწილი დენის კაბელებისთვის - გემი ჰაერში ეკიდა. რამდენ ხანს? არ მახსოვს. მანდ უკვე ქრონოსი არ მუშაობდა, კაიროსით იყო სავსე ცა, ცაზე ეკიდა გემი, ქვევით კი უამრავი უბნის ბავშვი და მათი მშობლები და ბებიები შეგროვებულიყვნენ და უყურებდნენ გემს ლოტკინის თავზე.

- დე, ნახე გემი! - თითოს იშვერს ბავშვი, მეც იმავეს ვიტყოდი, დედაჩემი სადმე ახლომახლო რომ ყოფილიყო.

ამ კადრში ყველას გვაერთიანებს დაუჯერებელი მომენტი. ის, რასაც შევესწარი. 6 წლის შემდეგ „თანაფას“ ტექსტშიც ცურავს ეს გემი: „პროექტია უკანასკნელი ჩემი გული - გემების სირენასავით რომ კივის ქალაქის სიმარტოვეში“.

პავლიონის ქერიდან გადმოკიდებული გემის წინ დგას და საუბრობს პატარა მოხუცი კაცი თეთრი თმებით და მისი სიტყვების დიდი ნაწილი არავის გვესმის. აქა-იქ გამოკრთება სიტყვა „ზღვა“, „მითი“, „ქართული“. მას უკვე იმდენჯერ სთხოვეს, სიტყვები „მიკროფონში ეთქვა“, რომ ყველას ერიდება, კიდევ ერთხელ შეახსენოს. მას კი ისევ ავიწყდება მიკროფონი და გემის წინ დალაგებულ 4-6-რიგაან სკამებზე ჩამომსხდარნი ვცდილობთ, დაჭერილი სიტყვები ლოგიკურად გადავაბათ ერთმანეთს.

არადა რა საჭიროა. ნუთუ, ისედაც არ არის გასაგები, რაც ხდება? ოფიციალურად, განრიგის მიხედვით, ეს არის ზურა კიკნაძის ლექცია „ზღვა და ხმელეთი ქართულ მითოლოგიაში“, რომელსაც ის ჩემი გემის წინ მდგარი ატარებს.

ზურა ჰყვება და ჰყვება შეიძლება ყველაფერს, რაც იცის, იმასაც, რაც არ იცის, შეიძლება გვანდობს შავი ზღვის საიდუმლოს, რომელიც ამოხსნა, მაგრამ მისი სიტყვების 90% არ ხვდება მიკროფონში, ხალხი უხერხულად დუმს, ლექცია კი არ მთავრდება, გრძელდება და გრძელდება, „რამდენი ხანიც გრძელდება ხოლმე გაზაფხულის დღე, სწორედ იმდენ ხანს“.

თითქმის არცერთი ფოტო და ვიდეო დოკუმენტაცია ამ მოვლენებისა რატომღაც არ შემორჩა - არც გემი ლოტკინის ცაში, არც გემი რომ სერავს ქუჩებს, არც გემის წინ ჰომეროსივით მდგარი ბერიკაცი. მხოლოდ რამდენიმე თვითმხილველს გვახსოვს, ისიც სხვადასხვანაირად, და არ ვიცით, რამდენად ღრმად წაიღებს თბილისის გემს ჩვენი ინდივიდუალური მეხსიერებები ქალაქის მეხსიერებაში, რადგან ჩვენი მოგონებები იზომება დედამიწის წრეებით მზის გარშემო, როცა ქალაქის დრო-მეხსიერება იზომება ეონებით, მაგრამ ამბობენ, არიან „ამბები, რომლებსაც მითების გამძლეობა აქვთ“.

როგორც იქნა, გემი დაიდგა სპეცმანქანის ზურგზე. რატომღაც ვერ ვიხსენებ, თავად გემში ჩავჯექი თუ მეორე მანქანაში, რომელიც გემს მოჰყვებოდა. ჩემს მოგონებაში ორივე კადრია, ორივე ნამდვილს ჰგავს.

ასეთი სპექტრანსპორტირების შემთხვევაში თურმე წინასწარ უნდა შეუთანხმდე შსს-ს და საპოლიციო სტრუქტურებს. მათ წინასწარ შეიმუშავეს გემის გადაზიდვის მარშრუტი, რომელიც მიანოდეს მძღოლს - არ შეიძლება ამ მარშრუტიდან გადახვევა.

პოლიციის მანქანაც მოგვყვება, როგორც დაბნეული კორტეჟი ამ მდუმარე ხილული სასწაულისა: გემი სერავს ქალაქის ქუჩებს უზღვო ქალაქში. და რა მიზნით ხდება ეს ყველაფერი? რისთვის?

პასუხი კი ყოველთვის არაა დამაკმაყოფილებელია, როგორც ხელოვნება - ყველასთვის და არავისთვის, ყველაფრისთვის და არაფრისთვის.

(და შეიძლება პოლიცია ხვდება, მაგრამ ვერ ამტკიცებს, რომ შეიძლება ამ დროს არტისტის გულში მხოლოდ ბავშვური აღტაცებაა - გამოწვეული ველური ბავშვური თამაშის ფანტაზიებით, რომლებსაც არანაირი გარკვეული მიზანი ან შედეგისკენ სვლა არ ამოძრავებს, გარდა აღტაცებისა თავად თამაშით, რომლითაც შესაძლებელია შეუძლებლის საზღვრების მოსინჯვა).

„ყოველი შენი მოძრაობა, აჩქარებული გულისცემა ამ უცხო საწოლში, იწვევს უცნობ მანქანათა საეჭვო გადაადგილებებს ბნელ ჩიხებში, უეცარ უსიამოვნო სატელეფონო ზარებს მძინარე კორპუსებში, ავტომატურ განახლებებს უცხო სოციალურ ქსელებში, ათასი ჯურის სიზმრებისა და სიამოვნებების, ნახმარი ტექნიკისა და მოყვასთა სხეულების იაფად გადამყიდველთა გააქტიურებას ქალაქის რუკის ზერელებდ შევსებულ ტერიტორიებზე“.
- როგორმე ძილის ტექსტი, 2010

- ახლა გესმის, ზურა?
- ისმის ირაკლისა და ზღვის ტალღების ხმა.
- კი, კი, რა ხდება თქვენკენ, კარგად მიდის?
- ბიჭო, აქ კი ვიპოვეთ სტოლბი, მაგრამ ეს ამ ბუნგალოს თუ კაფეს ტერიტორიაზეა და ხო არ იცნობთ ვინმეს აქ, რომ შეგვიშვან და უფლება მოგვცენ, რომ მაგათი ვაიფაიც გამოვიყენოთ?
- რა ბუნგალოა, რა ჰქვია?

ვარკვევთ, თუ ვიცნობთ ვინმეს, ვინც იცნობს ბუნგალოს უფროსს. იქამდე კი ირაკლი და მისი ბიჭები ცდილობენ, აუხსნან სტაფს, რომ სჭირდებათ შეუფერხებელი წვდომა „იმ სტოლბთან“, სადაც დაამაგრებენ მიკრომონწყობილობებს, რომლებიც ერთდროულად სიგნალის მიმღები და გადამცემია. სიგნალად ამ მიკროტრანსმიტერებმა უნდა მიიღოს ზღვისპირა ტალღების მოძრაობის რიტმი და გაზომოს ტალღების დარტყმის სიძლიერე, რომელსაც შემდეგ ბუნგალოს wi-fi-ს გამოყენებით სიგნალად გაგზავნიან თბილისში, წერეთლის ქუჩაზე მდებარე საგამოფენო სივრცის მე-10 პავილიონში, სადაც ჰაერში კიდია ნამდვილი გემი, გემში ჩამონტაჟებულია სპეციალური მიმღები პროგრამა, პროგრამა მიიღებს ამ სიგნალს და სიგნალის შესაბამისად - გაუშვებს ამა თუ იმ საუნდს, ეს საუნდი შემდეგ მიეწოდება დინამიკს, რომელიც ასევე გემის გულში დევს, კაპიტნის კაიუტაში და დინამიკი ბოლო ხმაზე გამოსცემს ამ საუნდს მათთვის, საგამოფენო სივრცეში მოგროვებულთათვის, სრულ სიბნელეში მდგომებისთვის კი ისე გამოჩნდება, თითქოს ამ ხმებს თავად გემი უშვებს - გემი ზღვის გარეშე, და ზღვა გემის გარეშე. ასეთი იქნება ამ კომუნიკაციის მომენტუმი, - უხსნიან ბიჭები უკვე ბუნგალოს ბოსს, რადგან სტაფმა ამ ბოძვაზე ბოსი გამოიყვანა.

ცოტა ხანში მომდის ფოტო შავიზღვისპირეთიდან - დეველოპერი ბიჭები წელამდე წყალში დგანან და დიდ ბოძს გარს აკრავენ ტრანსმიტერებს. Wi-fi-ც მოგვარებულია. ეს ოპერაცია ერთდროულად რამდენიმე ქალაქსა და რეალობაში მიმდინარეობს: ბათუმი, უცნობი კაფეს wi-fi, საგამოფენო სივრცე და დამთვალიერებლების წარმოსახვა.

გემი თავისი უცნაური ისტორიით გაოგნებული კიდია - ერთ დროს ფავორიტი, შემდეგ ერთ დროს დაძირული და ფსკერიდან ამოყვანილი, კაპიტნის სახლის ეზოში ნადები წლობით, ახლა საგამოფენო სივრცეში საკუთარ თავზე იღებს ზღვიდან ტალღების დარტყმის სიგნალებს. სადღაც ამ დროს ომს გამოქცეული ადამიანები სწორედ ასეთი მცირე გემებით ილტვიან ევროპის ნაპირებისკენ და მათი დიდი უმრავლესობა იძირება. სადღაც ამ დროს ძველ ეგვიპტეში მზე ასეთ მცირე გემს გადაჰყავს საიქიო წყლებზე და უკან. ეს ასე ურცხვად გამოფენილი გემი უზღვო ქალაქში თან ჩემი მაშინდელი სულის არქიტექტურაცაა - ხომ ასე ვგრძნობდი სულ თავს.

მაგრამ ეს არც წარსულის მონუმენტია, არც მომავლის დაპირება, ეს ის ანმყოფა, რომელიც, ყველა წესის მიხედვით, არ უნდა არსებობდეს, თუმცა არც უნესობის გაქანებაა, უფრო ალბათ - განსაკუთრებული წესი, მინაწერი ფიზიკის კანონებზე.

როგორც უცნობი გადამწერების ინდივიდუალური, არასანქცირებული მინაწერები წმინდა წერილის კიდეებზე. არაფერი ინდივიდუალური, რასაც არ სწამს რამის - რაც მასზე მეტია, აქ არ გადარჩება.

ლოტკინზე, კაპიტნის სახლის ძებნისას, წავაწყდი ამ დაძველებულ, დალაქავებულ საცხოვრებელს, კილომეტრიდან ნებისმიერი დევნილი რომ მიხვდება, მანდ მისი სუბტროპიკული სისხლი და ხორცი ცხოვრობს. აქ კედელზე დიდად აწერია: „ზღველები“.

მე, როგორც „დეკლასიური ტიპი, პროლეტარიატის ნალექი“, ხალხთა ორი ისეთ ჯგუფის წარმომადგენელი ვარ, რომლებიც მარგინალიზებული არიან, მაგრამ ცხოვრებისა და საზოგადოების ყველა სფეროში შეგხვდებიან. ყველგან გვნახავ ჩვენ - დევნილებსა და ნარკომანებს (ზოგჯერ ორივეს ერთში) - ზევით, ქვევით, ფსკერზე, ანდაც სოციალის ვარსკვლავებს შორის. ჩვენ ყველგან ვართ - თბილისის აფრიკის დასახლებიდან, ვიდრე ბათუმის „ჭაობისა“ და ფოთის „ოსტროვამდე“ - და ჩვენ ასე ვიმშვიდებით თავს:

- „27. არამედ წუთისოფლის უმეცარნი ამოარჩია ღმერთმა
- 28. და მდაბიონი ამოარჩია ღმერთმა და დამცირებულნი და არარსებული, რათა გააუქმოს არსებული“
- პირველი კორინთელთა მიმართ

ძველი დღიურიდან:

„სამაელ, სიმაგრე ჩემი მყიფე დგომისა ქარიშხალში - გთხოვ, გამახსენე ჩემი თავი, რომელიც ადრევე შევიძინე და მალევე გავფანტე - უაზრო ურთიერთობებში, უძინარ განთიადებში, ფსიქოტროპულ აფთიაქებში, ნარკოზუნაგებში, კაფეებსა და ბარებში, დათავულ ფოტოებში, აუდიტორიის მქუხარე ტაშებში, სოციალურ ქსელებში, ტუსოვკებსა და ბაბლებში, ტურებზე კოცნებში, ღამის ქუჩებში „თბილისი ცენტრალთან“, კომპარებში ღამის, დელირიუმში დილის, სუპერმარკეტების ქსელებში, ცეკვებში ანგელოზთათვის, რომლებიც სულაც არ იყვნენ ანგელოზები, სამოქალაქო პოზიციის დაფიქსირება-არდაფიქსირებაში, სხვის თვალში მოწონების სურვილებში, სიცივეში უცხო ბინების, ბრუტალურ გახსნილობაში სამყაროს მიმართ, ბრანჩებზე მოსაწყენ, ღიპიან მილიონერებთან, უპასუხო missed call-ებში და ა.შ., და ა.შ.

არამედ დამიბრუნე საკუთარი ჩემი და მარადიული გაზაფხულის კვლავწარმოების სიხარული. ამინ“

„ხედავს იგი მრავალსართულიან სახლებსა და ეკლესიების მაღლა აზიდულ გუმბათებს და ჰგონია: თითქო უზარმაზარი ხომალდები დაყუდებულან ოკეანეში. ქალაქს ნისლი დასწოლია და ელექტროს ღვარებში გაღებლი იგი მართლაც ოკეანეს წააგავს განათებულს (თუ ატეხილ ლევიათანს?)“, - წერს გრიგოლ რობაქიძე დაუსრულებელ რომანში „ფალესტრა“.

და იქვე, როცა საუკუნის წინანდელ თბილისს აღწერს, როგორც პოეტური რევოლუციის ქალაქს, და აღწერს, როგორ დაეცა თბილისს პაოლო, როგორც არტურ რემბო - პარიზს, თავის თავზე ამბობს: „გრიგოლ რობაქიძეს ამ დროს მხოლოდ ორი რამ აწვალებდა: აპოკალიფსი და დიონისო“,

შინაგანი ემიგრაციის ახალი ვერსია. საბოლოო ჯამში ხომ არა მართო ქალაქი მოქმედებს ჩვენს ფსიქიკასა და გადაადგილების ლიმიტზე, არამედ ყველა ქალაქი ჩვენი შინაგანი ინტენსივობის გამოსატულებაცაა. როცა შინაგან ემიგრაციაში ხელახლა აგებ ქალაქის რუკას, ამ რუკაზე აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული ყველა დროებით ავტონომიური და უსაფრთხო ნავსაყუდელი, რომელიც გაჩნდა მას შემდეგ, რაც უამრავმა ადამიანმა გეზი აიღო უკან, სიღრმეში, საკუთარ ბინებში - როგორც მდუმარე პროტესტი, როგორც უარი სპექტაკლზე. მე ვიცი ეს ბინები - გარეგნულად მათ აშორებს კილომეტრები, შიგნიდან კი ყველა ყველას უკავშირდება, კუნძულებივით.

1936 წელს ბორის პასტერნაკი ასეთ რჩევას სწერდა საყვარელ მეგობარს, „თბილისის პოეტურ მერს“, ტიციან ტაბიძეს, უკანასკნელის მოკვლამდე ერთი წლით ადრე:

„უფრო ღრმად წადით მიწის ბურღით, შიშის გარეშე და დაუნდობლად, მაგრამ საკუთარ თავში, შიგნით. და თუ იქ ვერ იპოვით ხალხს, მიწას და ცას, აღარ გააგრძელოთ ძიება, მაშინ საძიებელი აღარსად არის“.

თუმცა მთავარი განსხვავება შინაგან დევნილობასა და ვირტუალური პორტების მშენებლობას შორის ის არის, რომ ემიგრანტს შიგნით მიაქვს ქალაქის საუკეთესო ვერსია, რათა შეინახოს, ჩვენ კი შიგნით იმისთვის მივდივართ, რომ გარეთ გამოვიტანოთ ყველა ქალაქი, რაც იქ დარჩა - ქალაქი „არარსებული, რათა [მან] გააუქმოს არსებული“.

დევნილობის ხეტიალი უსასრულოა. უსასრულოა ზღვა. იქ, სადღაც, არის პორტები მათთვის, ვინც ვერასოდეს მოვა.